დისტრესის ტოლერანტობის გავლენა სტუდენტების თვითდამაზიანებელ ქცევაზე

მაგისტრანტი: თორნიკე ბერაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა, ფსიქოტრავმატოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ზავრადაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

1.1 განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე ბერაძე

20.06.2025

1.2 აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა გამოეკვლია დისტრესის ტოლერანტობას, აკადემიურ მოსწრებასა და არასუიციდურ თვითდამაზიანებელ ქცევას შორის კავშირი ქართველ სტუდენტებში . გამოყენებული იყო რაოდენობრივი, ჯვარედინ-სექციური დიზაინი. კვლევაში მონაწილეობა 130 ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 18-34 წლამდე სტუდენტმა მიიღო. გამოყენებული იყო დისტრესის ტოლერანტობის სკალა (DTS) და თვითდაზიანების შესახებ დებულებათა კითხვარი (ISAS) რომლებიც ინგლისურიდან ქართულად პირველად ითარგმნა. კვლევის ოთხივე ჰიპოთეზა დადასტურდა: პირველი - დისტრესის ტოლერანტობა მნიშვნელოვან უარყოფით კორელაციაში იყო არასუიციდური თვითდაზიანების მაჩვენებელთან (r = -.604, p = .01). ეს ნიშნავს, რომ დისტრესის ტოლერანტობის უფრო დაბალი დონე დაკავშირებულია თვითდაზიანებითი ქცევის უფრო მაღალ მაჩვენებელთან; მეორე - დისტრესის ტოლერანტობასა და ასთდ-ს სოციალური განმტკიცების ფუნქციებს შორის კავშირი უფრო სუსტი იყო, ვიდრე დისტრესის ტოლერანტობასა და ავტომატური განმტკიცების ფუნქციებს შორის კავშირი (r = -.62, p < .05). ეს მიუთითებს, რომ დაბალი დისტრეს-ტოლერანტობის მქონე სტუდენტები უფრო მეტად იყენებენ თვითდაზიანებას შინაგანი ემოციური რეგულაციის მიზნით ვიდრე სოციალური განმტკიცებისთვის; მესამე - სტუდენტები, რომლებიც ამჟამად გადიან ფსიქოთერაპიას ან იღებენ ფსიქიატრიულ მედიკამენტებს, დისტრესის ტოლერანტობის უფრო მაღალ მაჩვენებლებს აფიქსირებენ (M = 58.60, SD = 13.81) ვიდრე სტუდენტები, რომლებიც არ იღებენ ამ მომსახურებებს (M = 49.96, SD = 9.14). განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (t=2.467; p=.015); მეოთხე - დისტრესის მიერ ყურადღების შთანთქმა მნიშვნელოვან უარყოფით კორელაციაში იყო აკადემიურ მოსწრებასთან. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კავშირი გამოვლინდა DTS-ის შთანთქმის ქვესკალასა და GPA-ს შორის (r = -.557, p = .005). არასუიციდური თვითდამაზიანებელი ქცევის პრევალენტობა შერჩევაში შეადგინა 8,6%, სადაც უფრო დიდი წილი მოვიდა პირველ და მეორე კურსის სტუდენტებზე. შედეგები ცხადყოფს, რომ

დისტრესის მიმართ ტოლერანტობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენტს ქართველი სტუდენტების არასუიციდური თვითდაზიანების ქცევის გააზრებაში და და მას პირდაპირი პრაქტიკული ღირებულება აქვს უნივერსიტეტების ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურებისთვის, კერძოდ, ისეთი ინტერვენციების დანერგვის თვალსაზრისით, რომლებიც ორიენტირებულია დისტრესის ტოლერანტობის უნარების განვითარებაზე.

საძიებო სიტყვები: დისტრესის ტოლერანტობა, თვითდაზიანება, უნივერსიტეტის სტუდენტები, ქართველი ახალგაზრდები, მენტალური ჯანმრთელობა

1.3 Abstract

The purpose of this study was to examine the relationship between distress tolerance, academic performance and non-suicidal self-injurious behavior (NSSI) among Georgian students. A quantitative, cross-sectional design was utilized. The study sample consisted of 130 undergraduate and graduate students aged 18–34. The Distress Tolerance Scale (DTS) and the Inventory of Statements About Self-Injury (ISAS) were employed, both of which were translated from English into Georgian for the first time. All four hypotheses of the study were supported: First, distress tolerance was significantly and negatively correlated with the rate of non-suicidal self-injury ($r = -.604$, $p = .01$). This indicates that lower levels of distress tolerance are associated with higher rates of self-injurious behavior. Second, the relationship between distress tolerance and the social reinforcement functions of NSSI was weaker than the relationship between distress tolerance and automatic reinforcement functions ($r = -.62$, $p < .05$). This suggests that students with low distress tolerance are more likely to engage in self-injury for internal emotional regulation rather than for social reinforcement. Third, students currently undergoing psychotherapy or receiving psychiatric medication reported significantly higher distress tolerance scores ($M = 58.60$, $SD = 13.81$) than students who were not utilizing these services ($M = 49.96$, $SD = 9.14$); this difference was statistically significant ($t = 2.467$, $p = .015$). Fourth, the absorption of attention by distress was significantly and negatively correlated with academic performance. Specifically, a statistically significant negative relationship was revealed between the DTS absorption subscale and GPA ($r = -.557$, $p = .005$). The prevalence of non-suicidal self-injurious behavior within the sample was 8.6%, with a higher proportion observed among first- and second-year students. The findings demonstrate that distress tolerance is a crucial factor in understanding non-suicidal self-injury among Georgian students. Furthermore, it holds direct practical value for university mental health services, particularly for implementing interventions focused on developing distress tolerance skills.

Keywords: distress tolerance, self-injury, university students, Georgian youth, mental health

1.4 მადლობა

კვლევაში გაწეული დახმარებისთვის, მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს.

ასევე, მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს, რომლებმაც დრო გამოყვეს კითხვარის შესავსებად.